პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - I კვარტალი, 2016

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

Delivering Progress

გამოცემა #74 / 17.06.2016

2016 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით, წინასწარი მონაცემებით:

- საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 103%-ით გაიზარდა 2015 წლის პირველ კვარტალთან შედარებით და 376.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
- განხორციელებული ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი (63%) კვლავ თბილისზე მოდის.
- უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების პირველ სამეულს წარმოადგენს: აზერბაიჯანი (36.4%), თურქეთი (15%) და გაერთიანებული სამეფო (11.7%).
- ინვესტორებისთვის ეკონომიკის ყველაზე მიმზიდველი სექტორებია: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (53.2%), საფინანსო სექტორი (15.3%) და ენერგეტიკა (10.6%).



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2016 წლის პირველ კვარტალში, წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით, ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მნიშვნელოვნად, 103.2%-ით (191 მლნ აშშ დოლარი), არის გაზრდილი 2015 წლის პირველი კვარტლის მაჩვენებელთან შედარებით და 376.4 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

2016 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით, უმსხვილეს ინვესტორთა ხუთეულს ქვეყნების მიხედვით წარმოადგენს: აზერბაიჯანი (36.4%; 137 მლნ აშშ დოლარი), თურქეთი (15%; 57 მლნ აშშ დოლარი), გაერთიანებული სამეფო (11.7%; 44 მლნ აშშ დოლარი), კორეა (8.5%; 32 მლნ აშშ დოლარი) და ნიდერლანდები (5.7%; 22 მლნ აშშ დოლარი). აღნიშნული სტრუქტურა განსხვავდება 2015 წლის შესაბამისი პერიოდის სტრუქტურისგან, რომელშიც ხუთეულში შედიოდა რუსეთი (17%; 23 მლნ აშშ დოლარი) და დანია (12%; 21 მლნ აშშ დოლარი), ხოლო არ შედიოდა გაერთიანებული სამეფო და კორეა.





წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2016 წლის პირველ კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა აზერბაიჯანიდან (132%), თურქეთიდან (113%), გაერთიანებული სამეფოდან (254%) და კორეიდან, ხოლო ნიდერლანდებიდან შემცირდა (-32%). საინტერესოა, რომ ამ პერიოდში, კორეამ საქართველოში პირველად განახორციელა ამ ოდენობის ინვესტიცია (2015 წლის პირველი კვარტალი - მხოლოდ 0.1 მლნ აშშ დოლარი, 2016 წლის პირველი კვარტალი - 32.1 მლნ აშშ დოლარი).

2016 წლის პირველ კვარტალში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა სექტორების მიხედვით შემდეგია: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (53.2%; 200 მლნ აშშ დოლარი), საფინანსო სექტორი (15.3%; 58 მლნ აშშ დოლარი), ენერგეტიკა (10.6%; 40 მლნ აშშ დოლარი), უძრავი ქონება (5.8%; 22 მლნ აშშ დოლარი), მშენებლობა (5.1%; 19 მლნ აშშ დოლარი) და დანარჩენი სექტორები (10%; 38 მლნ აშშ დოლარი). აღნიშნული სტრუქტურა განსხვავდება 2015 წლის პირველი კვარტლის სტრუქტურისგან, როდესაც პირველ ხუთეულში საფინანსო სექტორისა და უძრავი ქონების ნაცვლად შედიოდა სამთომოპოვებითი მრეწველობის სექტორი და სასტუმროები და რესტორნები 10% და 9%-იანი წილით, შესაბამისად.





წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2015 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, 2016 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით, გაზრდილია განხორციელებული ინვესტიციების რაოდენობა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის (37%), ენერგეტიკის (92%) საფინანსო (14-ჯერ) და უძრავი ქონების (216%) სექტორებში, ხოლო შემცირებულია მშენებლობის სექტორში (-22%).





წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2015 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კიდევ უფრო მეტად არის კონცენტრირებული თბილისში. 2016 წლის პირველ კვარტალში, ჯამური ინვესტიციების 63% მოვიდა თბილისზე (2015 წლის პირველი კვარტალი - 47%). გაზრდილია არა მარტო აღნიშნული წილი, არამედ თბილისში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობაც. ამ პერიოდში, თბილისში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 78%-ით გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით, თბილისის შემდეგ, ინვესტორებისთვის ყველაზე მიმზიდველი რეგიონებია აჭარა (18%), სამეგრელო-ზემო სვანეთი და გურია (15%) და სამცხე-ჯავახეთი (4%).

ამ პერიოდში, ინვესტიციების მოცულობა ყველაზე მეტად გაზრდილია აჭარაში (78%) და სამეგრელო-ზემო სვანეთსა და გურიაში (168%), ხოლო ყველაზე მეტად შემცირებულია ქვემო ქართლში (-99%).

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2012	2013	2014	I 2015	II 2015	III 2015	IV 2015	2015	I 2016
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	15846.8	16139.9	16528.5	3325.0*	3407.6*	3545.0*	6682.3*	13959.9*	
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	3523.4	3599.6	3680.8	884.5*	913.4*	950.5*	994.7*	3743.1*	
მშპ-ს რეალური ზრდა	6.4%	3.3%	4.8%	3.2%*	2.5%*	2.5%*	2.9%*	2.8%*	
ინფლაცია	-0.9%	-0.5%	3.1%					4.0%	
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	911.6	941.9	1 758.4	175.3*	354.7*	489.0*	267.9*	1 351.1*	376.4*
უმუშევრობის დონე	15%	14.6%	12.4%					12%	
საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	4739	4202	4200	3989	4181	4195	4315	4315	4396
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	22.4%	21.4%	21.4%					20.1%	

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
საქართველოს ეროვნული ბანკი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საპროგნოზო*